საქართველოს პარლამენტისილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების განყოფილება

ბიბლიოთეკა და რელიგიური განათლება

მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი
ბიბლიოთეკების დასახმარებლად

თბილისი
2006

02 : 2 - 472
ბ 65

შემდგენელი: ნ. ქავთარაძე

რედაქტორი: გ. თაყნიაშვილი

რეცენზენტი:იღუმენი დოსითეოსი
თბილისის სასულიერო აკადემიის დეკანი

ბიბლიოთეკა და რელიგიური განათლება: მეთოდურ-
ინსტრუქციული წერილი ბიბლიოთეკების დასახმარებლად
/ **შემდგ. ნ.ქავთარაძე, რედ. გ.თაყნიაშვილი;** საქ. პარლა-
მენტის ეროვნული ბიბ-კა.-თბ., 2006.

მეთოდურ-ინსტრუქციული წერილი ითვალისწინებს წარმოდგენა შეუქმნას ბიბლიოთეკარებს ძირითად მსოფლიო რელიგიებზე, თითოეულის წარმოშობის ისტორიაზე,მოძღვრებასა და წერილობითი ძეგლებზე.

გაეცნობიან აგრეთვე რა არისრელიგიათშემწყნარებლობა ტოლერანტობა და როგორ წარმართონბიბლიოთეკის მუშაობა, რათა ყველა მკითხველმა, განურჩევლად მისი რელიგიური მრწამსისა, მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია ყოველგვარიშეზღუდვების გარეშე.

წერილს ბოლოს დართული აქვს რელიგიური ლიტერატურის,სასულიერო სემინარებისა და სასწავლებლების სიები; თბილისში მდებარე რელიგიური დაწესებულებებისმისამართები და ტელეფონისნომრები.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. საერთაშორისო და საქართველოს სამართლებრივი
აქტები ადამიანისრწმენის, სინდისისა და რელიგიის
თავისუფლების სფეროში.
2. ტოლერანტობა და რელიგიათშემწყნარებლობა.
3. მსოფლიო რელიგიები: იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი,
ინდუიზმი, ბუდიზმი, კონფუციელობა, დაოსიზმი.
4. ბიბლიოთეკა და რელიგიური განათლება.
5. რელიგიური ლიტერატურა.
6.სასულიერო სემინარები და საღვთისმეტყველო
სკოლები საქართველოში.
7.რელიგიური დაწესებულებებიქ. თბილისში.
8.გამოყენებული ლიტერატურა.
9.სხვადასხვა რელიგიების ინტერნეტ-საიტების მისამართები.

საერთაშორისო და საქართველოს სამართლებრივი აქტები ადამიანის რწმენის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების სფეროში

რელიგიური რწმენა საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეპოქაში გარკვეულ როლს ასრულებდა. ცხოვრებისეული განსაცდელის დროს რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ადამიანს ნუგეშით ავსებდა, ძალას მატებდა და მომავლის იმედს აძლევდა. თითქმის ყველა რელიგია, სიყვარულს, პატიოსნებას, მშობლების პატივისცემას ქადაგებს. ღმერთის უარყოფა ადამიანს მორალური პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს და დანაშაულს ამრავლებს, გზას უხსნის უწესრიგობას და ქაოსს. მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს გააჩნია თავისი ეკონომიკური და სამართლებრივი წყობა, მაგრამ ვერცერთი ქვეყანა ვერ იარსებებს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ნიშანდობლივი ეთიკური კონსესუსისა და მოქალაქეთა ზნეობრიობის გარეშე. მსოფლიოს სულ მეტად ესაჭიროება ზნეობა, რომლის წინაპირობას ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები და მათ შორის რელიგიური ფასეულობები წარმოადგენს.

1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს მიერ მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, სადაც ნათქვამია: ,,ყოველი ადამიანი იბადება თავისუფალი, თანაბარი ღირსებითა და უფლებით. მათ მომადლებული აქვთ გონიერება და სინდისი და ერთმანეთს უნდა ეპყრობოდნენ ძმური სულისკვეთებით გამსჭვალულნი" (პარაგრაფი 1.). აქედან გამომდინარეობს რელიგიის თავისუფლების მოთხოვნა: ,,ყველას აქვს უფლება იდეების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება გულისხმობს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და საჯაროდ ან ინდივიდუალურად ქადაგების თავისუფლებას, ლოცვისა და რელიგიური რიტუალების შესრულების თავისუფლებას"(პარაგრაფი 18.).

რელიგია შეიძლება იყოს ტირანული და რეაქციული, ამორალურიც, მაგრამ რელიგიას შეუძლია აგრეთვე თავისუფლების, ჰუმანიზმის, მოძმეთა სიყვარულის ქადაგება. მას შეუძლია ადამიანს შთააგონოს სიცოცხლის სიყვარული, სოლიდარობა და მშვიდობის დამკვიდრება მთელ მსოფლიოში.

1970 წელს ქ.კიოტოში ჩატარდა ,,რელიგიათა მსოფლიო კონფერენცია მშვიდობისათვის", სადაც შეკრებილმა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებმა რეზოლუციაში უნივერსალური ეთნოსის საფუძვლები ჩამოაყალიბეს. მათ აღიარეს, რომ ადამიანებს აერთიანებს რწმენა ადამიანთა თანასწორობისა და ღირსებისა, შეგნება პიროვნებისა და მისი სინდისის ხელშეუხებლობისა, რწმენა იმისა, რომ სიყვარულს, თანაგრძნობას, თავდადებას, სულის სიმტკიცეს მეტი ძალა აქვს, ვიდრე სიძულვილს და მტრობას.

მსოფლიო რელიგიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოძღვრებასა და წერილობით ძეგლებში, ეთიკასა და დისციპლინაში, მაგრამ ყველა რელიგიას აერთიანებს პრინციპული თეზისი ადამიანთა კეთილდღეობისა. ეთიკის ძირითადი ნორმები, მცნებები: არა კაც ჰკლა, არ იმრუშო, არ იცრუო და პატივი ეცი მშობელსა შენსა, ყველა რელიგიაშია. რელიგია ადამიანის უზნეო მიდრეკილებებთან ბრძოლის მძლავრი საშუალებაა.

საქართველო არა მარტო მრავალეროვნული, არამედ მრავალრელიგიური ქვეყანაა. ჩვენს ქვეყანაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი ეთნიკური და სარწმუნოებრივი ნიშნით დევნას. ქართველი ხალხის კეთილგანწყობილი ბუნება და შემწყნარებლობა ურყევ საფუძველს უქმნიდა საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს ეროვნული რწმენის შეუზღუდველობისათვის. საუკუნეების მანძილზე მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის გვერდით თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონდათ იუდაურ, მაჰმადიანურ, გრიგორიანულ, კათოლიკურ რელიგიებს.

ბევრი რელიგიური მიმდინარეობა საქართველოში შორეული პერიოდიდან იღებს სათავეს და დღემდე მოდის. ასე მაგალითად, იუდაიზმი დაკავშირებულია ებრაელთა შემოსვლასთან საქართველოში, სომხურ-გრიგორიანული ეკლესიასომხური მოსახლეობის არსებობასთან, ისლამი არაბთა ბატონობასთან და შემდეგ ამ რელიგიის მაღიარებელი ხალხის ცხოვრებასთან, კათოლიციზმი ევროპის ინტერესთან საქართველოსადმი და კათოლიკე მისიონერებთან და ა.შ.

ჩვენს ქვეყანაში აღმსარებლობის თავისუფლება კონსტიტუციით არის აღიარებული და განმტკიცებული. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ,,ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა ..." (თავი 2, მუხლი 14).

ევროპის ასამბლეის დადგენილებით ყველა ეკლესიას, რელიგიურ გაერთიანებას გარანტირებული იურიდიული პირების სტატუსი ეძლევა, თუ მათი მოღვაწეობა არ არღვევს ადამიანის და საერთაშორისო უფლებებს, ხოლო რელიგიური უმცირესობებისათვის მიიღება ეფექტური გარანტიები მათი სხვა რელიგიების წარმომადგენელთაგან დისკრიმინაციისა და აგრესიული დევნისაგან.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა დემოკრატიულ პრინციპზე აგებული სახელმწიფოს მართვის სისტემის შექმნა. აზრის გამოთქმის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება განეკუთვნება ძირითად

უფლებებს, რომელთა გარეშე სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს.

დემოკრატიის გზაზე დამდგარ ქვეყანაში რელიგიურ კონფესიებსნორმალური ფუნქციონირების საშუალება მიეცათ. გაუქმდა ბევრი შეზღუდვა და აკრძალვა, რის გამოც ბევრი აკრძალული არატრადიციული რელიგიური ორგანიზაცია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა, შეწყდა ზოგიერთი სექტანტური ორგანიზაციის დევნა, გაიზარდა რელიგიური დაწესებულებების რიცხვი, სასულიერო პირებს ფართოდ დაეთმოთ პრესა და ტელევიზია, გამრავლდა სასულიერო ჟურნალები და გაზეთები, უფრო ინტენსიურად იბეჭდება რელიგიური ლიტერატურა, იმატა ეკლესიათა მრევლმაც.

მიუხედავად ყველაფრისა, ზოგიერთი რელიგიური ორანიზაციის საქმიანობას განსხვავებული რეაქცია მოჰყვა საზოგადოების მხრიდან, რაც გამოიხატება დაპირისპირებებში სხვადასხვა ჯგუფებს შორის. მოვლენების ასე განვითარებას ხელს უწყობს ისიც, რომ არ არსებობს ეფექტიანიკანონი რელიგიის შესახებ, რომელიც საქართველოში აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას მოაწესრიგებდა.

სახელმწიფო ორგანოებმა კარგად იციან შექმნილი მდგომარეობის შესახებ. საქართველოს პარლამენტმა განიხილა ეს საკითხი და 2001 წლის 30 მაისს მიიღო დადგენილება ,,რელიგიური ექსტრემიზმის შესახებ", სადაც დაგმობილია სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანთა დევნა და შევიწროება.

საქართველო არის რელიგიის თავისუფლების, პატივისცემისა და რელიგიური შემწყნარებლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყანა. რელიგიური შუღლი ან დაპირისპირება საქართველოში არასოდეს გამოვლენილა. თბილისის ძველი ნაწილი, სადაც ქართული, სომხური, რუსული მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები, ასევე სინაგოგა და მეჩეთი ერთმანეთთან ახლოს არის განლაგებული, რელიგიური შემწყნარებლობის ტრადიციის კარგი მაგალითია. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, ყოველთვის პატივი მიეგებოდა სხვა ტრადიციულ რელიგიებს: იუდაიზმს, ისლამს, გრიგორიანობას, კათოლიციზმს.

ტოლერანტობა და რელიგიათშემწყნარებლობა

,,**ტოლერანტობა**" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ,,მომთმენს, შემწყნარებელს", სხვისი აზრების, რწმენის შემწყნარებლობას. ,,ტოლერანტობა" აგრეთვე ნიშნავს მსოფლიო კულტურის მიღებას, გაგებასა და პატივისცემას. ,,ტოლერანტობა" ეს არის ჰარმონია. მას წინ უძღვის ცოდნა, საჯაროობა, აზრის, სინდისის თავისუფლება. იგი საჭიროა არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების ურთიერთობაში, არამედ ოჯახში, სამსახურში, სასწავლებელში. ტოლერანტული სულით ადამიანის აღზრდა იწყება მისი საერთო უფლებებისა და თავისუფლებების სწავლებითა და სწრაფვით სხვათა უფლებების დასაცავად.

,,ტოლერანტობა" არ ნიშნავს რაიმეს მოთმინებას, საკუთარის დათმობას სხვისი აზრების გამო. ეს ნიშნავს, რომ ყველა თავისუფალია თავისი აზროვნებით და ამასთანავე აღიარებს სხვის ასეთსავე უფლებებს. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი ბუნებით, ქცევით, აქვთ უფლება იცხოვრონ, შეინარჩუნონ

თავისი ინდივიდუალობა ისე, რომ ერთი ადამიანის შეხედულება მეორეს არ მოეხვიოს.

მშვიდობა შეუძლებელია ტოლერანტობის გარეშე, განვითარება და დემოკრატია კი მშვიდობის გარეშე.

ქართველი კაცს ოდითგანვე ახასიათებდა სხვა ერებისადმი პატივისცემა. საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ ქართველთა გვერდით სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ებრაელები და ა. შ. მათ შორის რაიმე სერიოზული მტრობა არ ყოფილა. ამას მოწმობს ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრული, მშვიდობიანი ცხოვრება ქართველთა გვერდით.

ქართველთა შემწყნარებლური ხასიათი, სხვისი რწმენის, ადათ-ჩვევების, ინტერესების და ცხოვრების წესის ატანა ადრიდან იყო ცნობილი, რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა საქართველოში მომხდარ სისხლისმღვრელ მოვლენებში. მიუხედავად ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური კონფლიქტებისა, რასაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა, ქართველთა შორის ოსების, აფხაზების, რუსების მიმართ სიძულვილი არ შეიმჩნევა.

,,ტოლერანტობა" ქართულ სინამდვილეში საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული პოლიტიკაა, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, აგრესიულ სახელმწიფოებთან მეზობლობით, მოსახლეობის მრავალეროვნულობით. ასეთ ვითარებაში საქართველოსათვის აუცილებელი იყო ურთიერთობის მოწესრიგება სხვადასხვა ერებთან. ამისათვის კი მოქნილ პოლიტიკას იყენებდა, იჩენდა შემწყნარებლობას, გარკვეული დათმობებითთავის მიზანს აღწევდა, მოსულ ხალხს თავისი სახელმწიფოს სასარგებლოდ იყენებდა.

ქართველი კაცის ტოლერანტული ბუნება გაშუქებული აქვთ ისტორიკოსებსაც. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს (1122 წ.)იყო გამოცხადებული მუსლიმანთა პრივილეგირებული მდგომარეობა. მოსახლეობას პატივი უნდა ეცა ისლამისათვის. იქ, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ღორი არავის არ უნდა დაეკლა, მათ აბანოში სხვა არავინ არ უნდა შესულიყო და სხვ.

დავით აღმაშენებელი მუსულმანთა გარდა ხელს უწყობდა სომხებსაც, ეხმარებოდა შევიწროებული ეკლესიის აღორძინების საქმეში. დაჩაგრულად თავს არც ებრაელები გრძნობდნენ. ისინი უფლებრივად გათანაბრებული იყვნენ ქრისტიანულ მოსახლეობასთან.

როგორც ჩანს, რელიგიათშემწყნარებლობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ასეთი პოლიტიკით ჩვენ შევძელით არა მარტო ფიზიკური არსებობის, არამედ ეროვნული მეობის შენარჩუნებაც.ამიტომ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალერიანობის პირობებში ტოლერანტობა და რელიგიათშემწყნარებლობა იყო და მომავალშიც დარჩება ქართველი ერის გადარჩენის და სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდი ხშირად მიმართავს საზოგადოებას და განსაკუთრებით პოლიტიკოსებს გამოიჩინონ ქრისტიანული შემწყნარებლობა ერთმანეთის და სხვა რელიგიების მიმართ. საქართველოს პატრიარქი ილია II თავის გამოსვლებში მუდამ აღნიშნავს, რომ სახელმწიფო და ეკლესია უნდა იყოს ერთიანი დასახული მიზნების აღსრულებაში, ეკლესია ყველაფერს იღონებს იმისათვის, რათა საქართველო მშვიდობიან გზაზე იდგეს.

2002 წლის 14 ოქტომბერს ხელი მოეწერა კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ

მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის. ეს შეთანხმება განსაზღვრავს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსს საქართველოში, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციებისარსებობას და არ ნიშნავს მათი საქმიანობის შეზღუდვას ან აკრძალვას.

2005 წლის 7-9 ნოემბერს ქ.სტამბულში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ,,მშვიდობა და შემწყნარებლობა". კონფერენციას სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. მან მოუწოდა მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს გაერთიანდნენ და აქტიურად შეუწყონ ხელი ერთა შორის ნდობისა და ურთიერთპატივისცემის აღდგენას.

1998 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერთა ინიციატივით შეიქმნა ,,საქართველოს რელიგიათმცოდნეთა ასოციაცია" (http://ra.iatp.org.ge/Org.Ge.htm).ასოციაციის ძირითადი მიზანია საქართველოში რელიგიურ სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის შექმნის ხელშეწყობა და რელიგიის თავისუფლების დასაცავად შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება.

ასოციაცია 1999 წლიდან გამოსცემს ყოველთვიურ ბიულეტენს ,,რელიგიურ მოვლენათა მიმოხილვა". ასოციაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტის ,,კონფესიათა შორის შერიგება" შესრულებაში, კონფერენციაში ,,ეროვნული უმცირესობები კავკასიაში 21-ე საუკუნის მიჯნაზე" (თბილისი, 15-17 მაისი 1999 წ.) და ინტერრელიგიური და საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სიმპოზიუმში, რომელიც 2001 წლის მაისში, ნიუ-იორკში ჩატარდა.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში 25-მდე სხვადასხვა რელიგიური გაერთიანება არსებობს. მსოფლიო რელიგიები, რომელთაც წარსულში საქართველოს ტერიტორიაზე უმოქმედიათ, ამა თუ იმ ფორმით დღესაც განაგრძობენ მოქმედებას. საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ქართველების გარდა მართლმადიდებელნი არიან ოსები, რუსები, ბერძნები, აგრეთვე აფხაზებისა და სომხების ნაწილი.

სომხების უმრავლესობა ,,სომხურ სამოციქულო ეკლესიას" ეკუთვნის, რომელსაც ჩვენში ,,გრიგორიანულს" უწოდებენ. საქართველოს მოსახლეობის, როგორც ეთნიურად ქართველების, ისე ეთნიურად არაქართველების დიდი რიცხვი ისლამს აღიარებს. ბოლო ათწლეულებში მცირერიცხოვანი მრევლი სხვა რელიგიებმაც (კრიშნაიტებმა, ბაჰაიტებმა და სხვ.) გაიჩინეს.

საქართველოს მოსახლეობის რელიგიური ნიშნით აღწერის პროცედურა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2002 წელს ჩაატარა, რომლის შედეგები 2004 წელს გახდა ცნობილი. საქართველოს იმ ტერიტორიის მოსახლეობა, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, რელიგიური ნიშნის მიხედვით შემდეგნაირად იყოფა(აქ მოყვანილია დაახლოებითი ციფრები) : მართლმადიდებელნი (ქართველი, რუსი, ბერძენი) – მოსახლეობის 84 %; იუდეველები – 2000; მუსლიმები – 500 000; იეზიდები – 48 000; კათოლიკები – 50 000; გრიგორიანელები – 300 000; ბაპტისტები – 18 000; ლუთერელები – 1 000; ორმოცდაათიანელები – 5 000 – მდე; ევანგელისტები - 600 – მდე; ადვენტისტები – 700 – მდე; ღმერთის საელჩო – 50-მდე; ბაჰაისტები – 300-მდე; კრიშნაიდები – 500-მდე; დუხობორები – 1000-მდე; მალაკნები – 1000-მდე; იეჰოვას მოწმეები – 15 000-მდე;

ძველ მართლმადიდებელნი – 300-მდე; ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში – 300-მდე.

მოსახლეობის მცირე ნაწილი ბუდისტების, მორმონების, სიცოცხლის სიტყვის, ხსნის არმიის, ახალსამოციქულო ეკლესიისა და ბათუმის რეფორმისტული ეკლესიის რელიგიურ მიმდინარეობას აღიარებს.

მსოფლიო რელიგიები

სიტყვა ,,რელიგია" ლათინური ,,religio"-დან წარმოდგება, რაც ნიშნავს ყურადღებას, მოწიწებას, თაყვანისცემას, ღვთისმოსაობას, მორწმუნეობას, კავშირს ადამიანსა და ღმერთს შორის, ადამიანის მიერ ღმერთის რწმენას.

მსოფლიოში არსებული რელიგიები და მისი ორგანიზაციები იმდენად მრავალი და სხვადასხვანაირია, რომ მეცნიერებისათვის რელიგიის საერთო განსაზღვრების დადგენა სიძნელეს წარმოადგენს. მაგალითად, დასავლეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი რელიგიას ქრისტიანობასთან, უმაღლეს რწმენასთან აიგივებს, რომელიც ჩვენგან მორალური ნორმების შესაბამის ქცევას მოითხოვს, სამაგიეროდ კი იმქვეყნიურ საამო ცხოვრებას გვპირდება.

თითქმის ყველა რელიგიისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია გარკვეული სიმბოლოების არსებობა, რომლებიც მორწმუნეებში პატივისცემას, მოკრძალებას ან შიშს იწვევს. ეს სიმბოლოები მორწმუნეების მიერ ჩატარებულ რიტუალებში მონაწილეობენ. იმის მიუხედავად მონაწილეობს თუ არა რელიგიურ რწმენაში ღმერთი, მათში ყოველთვის არიან არსებები ან ობიექტები, რომლებიც შიშს და მოკრძალებას იწვევენ. ზოგიერთ რელიგიას ახასიათებს რწმენა აბსტრაქტული ძალისადმი და არა ღმერთისადმი. მაგ. ბუდდა და კონფუცი არ არიან ღმერთები, მაგრამ ისინი არიან პიროვნებები, რომლებიც მორწმუნეებში მოწიწებას, მორიდებას და მოკრძალებას იწვევენ.

რელიგიური რიტუალები სხვადასხვანაირია. რიტუალურ აქტებს ეკუთვნის აგრეთვე ლოცვები, გალობები, გარკვეული საკვების გამოყენება ან მარხვა (რამდენიმე დღით საკვებისაგან თავის შეკავება) და ა.შ. ზოგიერთი რელიგიური რიტუალები, მორწმუნეთა დიდი ჯგუფების მონაწილეობით სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, ეკლესიებში და ტაძრებში ტარდება, ზოგიერთი კი – განმარტოებით.

ამგვარად, რელიგია არის ხილული სამყაროს გარეთ არსებული სამყაროს, მიღმიერი, უხილავი, ზებუნებრივი, ზეცნობიერი რეალობის რწმენა.

რელიგიას ხალხის რწმენა წარმოშობს. ამის გამო რწმენა, მორწმუნეობა და სარწმუნოება რელიგიისა და რელიგიურობის სინონიმებია.

რელიგიის წარმოშობის დროის დადგენა რთული საკითხია, რადგან ჯერ ადამიანის წარმოშობის საკითხი უნდა გაირკვეს. ეს საკითხი კი მეცნიერებისათვის დაუდგენელია. ასევე დაუდგენელია თუ რელიგიის რა ფორმა იყო გავრცელებული პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოებაში.

ყველაზე უძველეს რელიგიად აღიარებულია **<u>ანიმიზმი</u>,** ანუ რწმენა სულებისა და მოჩვენებების შესახებ, რომელნიც ამ სამყაროში ადამიანებთან ერთად ცხოვრობენ. პირველყოფილი ადამიანი ბუნებასთან ურთიერთობისას ხვდებოდა ისეთ რეალურ მოვლენებს, როგორიცაა ხმაური, ექო, აჩრდილი. ამას ის უხილავ ძალად თვლიდა და ფიქრობდა რომ მისი სასიცოცხლო ძალა ამ მოვლენებზე იყო დამოკიდებული. ამიტომ მზეს, მიწას, ცას, მდინარეს და ცხოველებს აღმერთებდა.

პირველყოფილი რელიგიის უძველეს ფორმებია აგრეთვე **ტოტემიზმი** და **ფეტიშიზმი.** სიტყვა ,,ტოტემი" შემოვიდა ჩრდილოეთამერიკელ ინდიელების ენიდან და ნიშნავს გვარისა და ტომის წინაპრად რომელიმე ცხოველის ან მცენარის აღიარებას. მაგ. ეგვიპტეში აღმერთებდნენ ხარს (აპისის კულტი) და მის საპატივცემულოდ ტაძრებსაც კი აგებდნენ. ტოტემიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც მოვლენა, რომელიც არ არის დამახასიათებელი განვითარებული ქვეყნებისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტოტემთან კავშირი აქვს ზოგიერთ სიმბოლოებს (მაგ. სპორტული გუნდის ემბლემა ცხოველის ან მცენარის გამოსახულებით). ასევე ტოტემია სხვადასხვა თილისმები.

,,ფეტიშიზმი" ნიშნავს უსულო საგნების თაყვანისცემას, რაიმე ნივთების გაიდეალებას, კერპთაყვანისცემას, ავგაროზს. ამ რელიგიის მიმდევრები თაყვანს სცემდნენ მატერიალურ საგნებს: ხის ნაჭერს, ჩვეულებრივ ქვას ან რაიმე სხვა საგანს, რომელსაც სასწაულებრივი ძალა მიეწერება.

რელიგიის უძველეს ფორმად ითვლება აგრეთე **მაგია** (ლათ. ჯადოქრობა), რომელიც გულისხმობს ცალკეული ადამიანების ან კოლექტივის მიერ შესრულებულ სარიტუალო მოქმედებას მიმართულს ადამიანის სასარგებლოდ ან საზიანოდ.

თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებიდან მაგიური რიტუალები გაქრა, მაგრამ დარჩა ძველებური ცრურწმენები, რომლებსაც ბევრი საერთო აქვს მაგიურ ჯადოქრობასთან. მაგ. ზოგიერთი პროფესიის ადამიანები, რომელთა წარმატება დამოკიდებულია რისკთან (მეთევზეები, სპორტსმენები, მფრინავები), სტრესულ სიტუაციებში იცავენ სარიტუალო წესებს ან ატარებენ თილისმას.

თანამედროვე სოციოლოგი ნეილ სმელზერი რელიგიურ ორგანიზაციებს ოთხ ჯგუფად ყოფს: ეკლესია, სექტა, დენომინაცია და კულტი.

ეკლესია ბერძნული სიტყვაა და ორი მნიშვნელობა აქვს: ძირეული, პირველადი აზრით იგი ნებისმიერი რწმენისა და სოციალური ფენის წარმომადგენელთა კრებულს (საზოგადოებას) აღნიშნავს. მეორეული შინაარსით ე.ი. ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, ეკლესია გულისხმობს მხოლოდ მორწმუნეთა კრებულს, საზოგადოებას, გაერთიანებას. ეკლესიის წევრები არიან როგორც მართალი, ისე ცოდვილი მორწმუნეები. მაშასადამე, ეკლესია ის რელიგიური ორგანიზაციაა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოების ფართო ფენებთან და მის წიაღში მოქმედებს.

სექტა ლათინური სიტყვაა და ძირეული შინაარსით გამოყოფას, ჩამოჭრას, მოკვეთას ნიშნავს. სექტანტობა ბუდიზმში, ისლამში, იუდაიზმში, ქრისტიანობაში და სხვა რელიგიებში გაბატონებული მიმართულებებიდან გამოყოფილი და მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების, თემებისა და გაერთიანებების საერთო სახელწოდებაა. სექტებს არ გააჩნიათ სასულიერო ძალაუფლების აპარატი, საერთო სავალდებულო დოგმატური სისტემა და მყარი ადათ-წესი.

თანამედროვე დემოკრატიული სისტემა და იურისპრუდენცია ტერმინს ,,სექტა" გაუკუღმართებული მრწამსისა და რიტუალის მნიშვნელობით არ იცნობს. მისთვის ყველა რელიგიური ორგანიზაცია ეკლესიაა. მაგალითად: საკონსტიტუციო ფრაზებში მოხსენებული ,,ეკლესიის" ქვეშ ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაცია იგულისხმება.

ამჟამად საქართველოში გავრცელებულ რელიგიურ მიმდინარეობათა, სექტებსა და ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მობილიზებულია ,,იეღოვას მოწმეთა" სექტა, რომელიც დააარსა ჩარლზ რასელმა პენსილვანიაში მე-19

საუკუნის 70-იან წლებში. ამ საზოგადოების ცენტრალური ადგილი აშშ-ში, ბრუკლინში მდებარეობს.

,,იეღოველები" უარყოფენ წმ. სამებას. მათი აზრით, ქრისტე ღმერთის ქმნილებაა, რაღაც ანგელოზზე უფრო მაღლა მდგომი, ძე ღმრთისა, არა ბუნებით, არამედ რჩეულობის მიხედვით. იეღოველები ამბობენ, რომ ქრისტემ ჯვარცმის შემდეგ დროებით შეიმოსა კაცობრივი სხეული. მისმა ჯვარცმამ მხოლოდ ადამის ცოდვა გამოისყიდა და არა ადამიანების პირადი ცოდვები. მათი მოძღვრების მთავარი იდეა კი არის ,,არმაგედონის" მოლოდინი. ეს არის მსოფლიო საყასბო, რომლის დროსაც კაცობრიობა, იეღოველთა გარდა, მთლიანად განადგურდება. ხოლო ამის შემდეგ მოხდება ქრისტეს უხილავი მოსვლა და მკვდართა აღდგომა.

,,იეღოველები" თავიანთი მოძღვრების გასავრცელებლად იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მათი ლიტერატურა დიდი ტირაჟით იბეჭდება ყველა ევროპულ და აზიურ ენებზე.

დენომინაცია ლათინური სიტყვაა და ,,გადარქმევას" ნიშნავს. რელიგიათმცოდნეთა განმარტებით, ეს ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ეკლესიასა და სექტის შუალედურ რგოლს ე.ი. გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს.

დენომინაციების არსებითი ნიშანი აქტიური მისიონერული მოღვაწეობაა, რითაც ისინი ერთმანეთს და ეკლესიას კონკურენციას უწევენ. ამის მიუხედავად დენომინაციები საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან ნორმალურ ურთიერთობას ინარჩუნებენ, თუმცა სახელწიფო რელიგიებს არ წარმოადგენენ.

კულტი ასევე ლათინური სიტყვაა და რელიგიურ სამსახურს ნიშნავს. რელიგიათმცოდნეობაში კი ამ ტერმინით სექტის ის სახეობა აღინიშნება, რომელიც ექსტემიზმით და რადიკალურობით გამოირჩევა და რომელსაც ხშირად ტოტალიტარულს ეძახიან. მისი არსებითი ნიშანი პიროვნების შთანთქმის, ინდივიდუალობის ჩამოცილების და კოლექტიურ ცნობიერებაში გათქვეფის მცდელობაა.

მსოფლიოს უდიდესი რელიგიები, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში არის: იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ყველა ისინი ახლო აღმოსავლეთში წარმოიშვნენ და ყოველმა მათგანმა დანარჩენებზე გავლენა მოახდინა. ამ რელიგიებს ბიბლიურ რელიგიებს უწოდებენ, რადგან გააჩნიათ ერთი საერთო წყარო – ბიბლია (საღვთო ანუ წმინდა წიგნი, წერილი).

,,ბიბლია" ბეძნული სიტყვაა და ,,წიგნებს" ნიშნავს. ის, ქრისტიანთა რწმენის თანახმად, წმინდა სულის კარნახით არის შექმნილი. ბიბლია ორ ნაწილად იყოფა – ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა. იუდეველები მხოლოდ პირველი ნაწილის უცდომელობას აღიარებენ, მეორეს კი კატეგორიულად უარყოფენ. ქრისტიანები ორივე აღთქმას ღვთის სიტყვას და სულიწმინდის ხმას უწოდებენ. მუსლიმები კი თვლიან, რომ ძველი და ახალი აღთქმის თავდაპირველი ტექსტები ებრაელთა და ქრისტიანთა ხელში დამახინჯდა, რის გამოც ღმერთმა (ალაჰმა) დედამიწაზე ახალი წიგნი - ,,ყურანი" გამოგზავნა.

სამივე რელიგია აღიარებს, რომ ჭეშმარიტი და ღვთიური რჯული ადამიანთა წინაშე ღმერთმა პირველად ერთი მართალი კაცის, აბრაამის, მიერ წარმოაჩინა, რის გამოც ამ რელიგიებს აბრაამისეულ რელიგიებსაც უწოდებენ. ბიბლიასა და ყურანს ბევრი მონათესავე ეპიზოდები აქვთ, მაგრამ ბევრი რამ განასხვავებს კიდეც.

ი უ დ ა ი ზ მ ი

იუდაიზმი ყველაზე უძველესი რელიგიაა რელიგიათა შორის. მისი ჩამოყალიბების ისტორია განუყრელადაა დაკავშირებული ებრაელი ხალხის ისტორიასთან.

იუდაიზმი წარმოიშვა ძვ.წ. I ათასწლეულში პალესტინაში და უმთავრესად ებრაელთა შორის გავრცელდა.

ძველებრაული ტომები ძველი ეგვიპტისა და მის გარშემო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ძირითადად მეცხოველეობას მისდევდნენ. ბიბლიური ტრადიციით მომთაბარე მესაქონლეტომები (ებრაელები) ძვ.წ. XIII საუკუნეში ეგვიპტიდან უდაბნოში გაიქცნენ. პალესტინის დაპყრობისა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ ებრაელთა შორის მრავალღმერთიანობა (პოლითეიზმი) გავრცელდა. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას (ძვ.წ. XI საუკ.) მოჰყვა ებრაელთა ღმერთის იაჰვეს კულტის დამკვიდრება იერუსალიმში. ჩვ.წ. –მდე დაახლოებით 1000 წელს მეფე იოსიმ გააუქმა ყველა ღმერთის კულტი, გარდა იაჰვესი. ამ დროისათვის ყალიბდებოდა უკვე იუდაიზმის ძირითადი რელიგიური დოგმატები: იაჰვეს აღიარება ერთადერთ ღმერთად; რწმენა იაჰვეს და ებრაელთა შორის დადებული აღთქმისა; ,,ისრაელის ძეთა" მიჩნევა ღმერთის რჩეულ ერად; ღვთის გამოცხადება სინას მთაზე და სხვ.

იუდაიზმის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა პოლიტიკურმა ფაქტორმაც – ძვ.წ. 586 წელს ბაბილონის მიერ იუდეის სახელმწიფოს განადგურებამ და ,,ბაბილონის ტყვეობამ".

533 წელს, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, ებრაელებმა იერუსალიმში იაჰვეს სადიდებლად სოლომონის ტაძარი აღადგინეს, დაწესეს დღესასწაული ხანუკა (,,განახლება") და ჩამოაყალიბეს ახალი თემი – იუდეველები (იუდას, პატრიარქ იაკობის შვილის, შთამომავლები). მათ ამ თემში არ შეიყვანეს ისინი, ვინც ტყვეობაში არ იყვნენ ნამყოფი და პალესტინაში დარჩნენ.

ახალი რელიგიური თემის გარეთ დარჩენილმა ებრაელებმა ცალკე თემი შექმნეს, რომელთაც <u>**სამარიელები**</u> ეწოდათ. მოგვიანებით სხვა რელიგიურ-პოლიტიკური პარტიებიც წარმოიქმნა - ფარისევლების, სადუკევლების, ნაზორეველთა.

ცნობები იუდაიზმის საფუძვლების შესახებ მოცემულიაბიბლიის პირველი ნაწილში, ძველი აღთქმაში, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: 1.თორა ან რჯული, რომელიც მოსეს ხუთ წიგნს მოიცავს; 2.წინასწარმეტყველებანი და 3.წერილები. ძველი აღთქმის წიგნები იწერებოდა ძვ.წ. XIII-I საუკუნეებში, სადაც ძირითადად განხილულია ძველი ებრაული რელიგიური სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ისტორია, ხოლო ახალი აღთქმა ანუ სახარება ასახავს ქრისტეს მოვლინებას და მის ცხოვრებას. ებრაელები არ აღიარებდნენ ქრისტეს მესიად მოვლენას, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ მესია უნდა მოვლენილიყო არა ყველასათვის, არამედ მხოლოდ ებრაელთათვის.

იუდაიზმის კანონიკური საფუძვლები ჩამოაყალიბა ებრაელთა მამამთავარმა **მოსემ**. იუდაიზმის უმთავრეს წყაროდ ითვლება მოსეს ხუთწიგნეული, **ხუმაში ანუ თორა**, რომელიც დაახლოებით ჩვ.წ.-მდე XVI საუკუნეშია შექმნილი. თორისა და ძველი აღთქმის სხვა კანონიკური წიგნების შემდეგ ებრაელების (ისრაელიანების) წმინდა წიგნებად ითვლება <u>**თალმუდი**</u> და <u>**კაბალა**</u> , რომლებშიც თეორიული საკითხებია გაშუქებული და ღვთისმსახურების წესებია მოცემული.

იუდაიზმი არის მასორული და თალმუდური. ბიბლიურია რაც ბიბლიით წარმოდგება. თალმუდი კი წარმოადგენს კრებულს, რომელიც შეიცავს სამართლებრივ ნორმებს, რელიგიურ მიწერილობებს, კანონებს, ღვთისმეტყველურ

მსჯელობებს კულტისა და დოგმატის შესახებ, ეთიკურ ნორმებს, ცნობებს მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან, ზღაპრებს, ლეგენდებს, მითებს და სხვ. თალმუდის ავტორები ჩააგონებენ მორწმუნეებს მოთმინებას და მორჩილებას. ისინი ქადაგებენ უძრაობასა და სამყაროს უცვლელობას, მოუწოდებენ ადამიანებს შეურიგდნენ ექსპლოატაციასა და ჩაგვრას. ყველა ამ კანონებისა და ლოცვების შესრულების გარეშე ებრაელი ვერ მოიპოვებს იმქვეყნიურ ცხოვრებას.

იუდაიზმი მონოთეისტური რელიგიაა: იგი აღიარებს ერთადერთ ღმერთს, სამყაროს შემქმნელს, იაჰვეს.

იუდაისტური მოძღვრების ძირითადი დოგმატები რაბინმა მოსე მაიმონიდმა XII ს-ში რეზიუმეს სახით ჩამოაყალიბა: 1. არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო; 2. ის ერთია; 3. ის უსხეულოა; 4. ის მარადიულია; 5. უნდა ვილოცოთ მხოლოდ მასზე; 6. ღვთიური გამოცხადებანი ჭეშმარიტებაა; 7. მოსე ყველაზე დიდი წინასწარმეტყველია; 8. თორა მოსეს ღმერთმა უკარნახა; 9. მოსეს კანონის შეცვლა სხვა კანონით არ შეიძლება; 10. ღვთიური განგება მართავს სამყაროს; 11. არსებობს კეთილისათვის ჯილდო და ბოროტისათვის სასჯელი; 12. მესია ისრაელში მოვა; 13. მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებაა.

იუდაიზმი არ ცნობს ტაძრებს. არ გააჩნია სასულიერო იერარქია. მორწმუნეთა გაერთიანებებს სინაგოგა ეწოდება, მოძღვარს – რაბინი. იგი ასრულებს რიტუალებს და სასულიერო განათლების პროცესს წარმართავს.

იუდეველთა ღვთისმსახურების ბირთვს დილის, შუადღისა და საღამოს ლოცვები შეადგენს. მლოცველები სპეციალური მოსასხამით (ტალითი) და პატარა ქუდით (თეფილინი) იმოსებიან.

იუდაიზმის მიმდევართა რელიგიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დღესასწაულები: შაბათი – სრული დასვენების დღე, პასექი (ფესახი), რითაც ეგვიპტიდან გამოსვლას და გაზაფხულის ბუნიობის პირველ სავსე მთვარეს აღნიშნავენ; ხანუქა (21 დეკემბერი), რომელიც ებრაელთა 167 წლის (ძვ. წ. აღ.) აჯანყების წარმატებით დამთავრებას აღნიშნავს; ფერიმი (თებერვალ-მარტში), რომლის დროსაც ებრაელი ქალის, ესთერის, ეროვნულ ღვაწლს იხსენებენ,მარხვა და ,,მონანიების დღე" – იომ-ქიფური. სადღესასწაულო დღეებში მორწმუნეები გალობენ, კითხულობენ ბიბლიას, კლავენ საკლავს.

საქართველოში ებრაელები პირველად ძვ.წ. ა. VI საუკუნეში, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დალაშქვრის შემდეგ, გამოჩნდნენ. ებრაელების შემდეგი ნაკადი ჩამოსახლდა ახ. წ. ა. 70-იან წლებში, როდესაც რომაელებმა იუდეველთა აჯანყება სისხლში ჩაახშვეს. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სახლდებოდნენ, ვაჭრობდნენ, მოგზაურობდნენ და ექსპორტ-იმპორტს მისდევდნენ, რაც ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის გარე სამყაროსთან ურთიერთობის გაღრმავებას.

ებრაელთა დასახლებები საქართველოს ბევრ რაიონში გვხვდება. ყველაზე დიდი სინაგოგა თბილისისაა, შემდეგ – გორის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, ახალციხის, ონის და ა.შ.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა

ქრისტიანობა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული რელიგიაა. ის წარმოიშვა ჩვ.წ.ა. I საუკუნის მე-2 ნახევარში მცირე აზიაში. მე-2 და მე-3 საუკუნეში გავრცელდა საბერძნეთსა, ეგვიპტესა და რომის იმპერიაში. ხოლო მე-4 საუკუნეში ქრისტიანობა რომის სახელმწიფოს გაბატონებულ რელიგიად იქცა.

ამ რელიგიის ფუძემდებელი იყო **იესო ქრისტე**. ბერძნულად Christos – (იესო) ქრისტე სიტყვასიტყვით ძველებრაულად ნიშნავს ,,ცხებულს", მესიას, მეფეს, რომელსაც ებრაელი ერი ელოდა. ქრისტიანული რელიგიის წარმოშობისა და განვითარების შესახებ არსებობს ორი სახის წყარო – ქრისტიანული და არაქრისტიანული. ქრისტიანული წყაროებიდან უძველესი და უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ანუ ,,ბიბლიას". ძველი აღთქმის წიგნების მიხედვით იესო ქრისტე დაიბადა პალესტინის ქ.ბეთლემში, დაახლოებით ძვ.წ.ა. 6 ან 7 წელს, რომის იმპერატორ ავგუსტუსის მმართველობის დროს. იესომ ბავშვობა ნაზარეთში გაატარა, სადაც მან თითქმის 30 წელი დაჰყო.

იესო ქრისტემ თავისი ქადაგების ადგილად პირველად ქ.კაპერნაუმი (პალესტინა) აირჩია. ამ ქალაქიდან იწყება ქრისტეს მოღვაწეობა. ის მთელ დღეებს ქადაგებაში ატარებდა, კურნავდა ავადმყოფებს და ხეიბრებს, ახდენდა სასწაულებს. მისი მოღვაწეობის ეპოპეა იყო იერუსალიმში შესვლა. იერუსალიმი ებრაელთა რელიგიური ცენტრი იყო. სამღვდელოების წარმომადგენლები აქ მის მოღვაწეობას ეჭვით უყურებდნენ. თვით იესოც ხედავდა მისდამი მტრულ დამოკიდებულებას, მაგრამ მას არ შეეძლო არ განეცხადებინა ღმერთის ახალი სიტყვა გადაგვარებული ხალხისათვის.

იესო ქრისტე ჯვარს აცვეს, მაგრამ სიკვდილის შემდეგ მესამე დღეს მკვდრეთით აღდგა და შემდეგ ზეცად ამაღლდა. ქრისტეს სიკვდილით დასჯა უდიდესი აქტია კაცობრიობის ისტორიაში. აქედან იწყება ახალი რელიგიის გამობრწყინება. ქრისტეს მოციქულები სხვადასხვა ქვეყნებში გაემგზავრნენ და მესიის სახელით დაიწყეს ქრისტიანობის ქადაგება.

ქრისტიანები I – II სს-ში იუდეველთა და წარმართთა დიდ წინააღმდეგობებს წააწყდნენ, მაგრამ ცეცხლმა და მახვილმა ეკლესია უფრო განამტკიცა. მე-2, მე-3 საუკ. მიჯნაზე ქრისტიანული თემი საკმაოდ გაძლიერდა. მის რიგებში იყვნენ არა მარტო ღარიბები, არამედ მდიდარი და არისტოკრატიული საგვარეულოს წევრები. 313 წელს, იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით, ქრისტიანების დევნა აიკრძალა და ქრისტიანობა რომის იმპერიის რელიგიად გამოცხადდა.ამავე წელს გამოქვეყნდა მილანის სჯულშემწყნარებლობითი ედიქტი.

325 წ. ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე განიხილეს და დაამტკიცეს საეკლესიო მართვისა და დისციპლინის კანონები. აქვე იქნა შემუშავებული უმთავრესი დოგმატიკურ-კანონიკური და იერარქიულ-ადმინისტრაციული საკითხები, სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი. აგრეთვე დადგენილი იქნა აღდგომის დღესასწაულის გამოთვლის წესი – გადაწყდა, რომ იგი ებრაული პასექის შემდეგ, მთვარის ავსების მომდევნო კვირა დღეს აღენიშნათ.

ქრისტიანთა რწმენის პირველწყარო არის საღვთო წერილი (ბიბლია) და საღვთო გადმოცემა (საეკლესიო მოძღვრება, საეკლესიო ტრადიცია). ძველი საეკლესიო თვალსაზრისით ერთიც და მეორეც სულიწმინდის შთაგონების ნაყოფია და, ამდენად, - ჭეშმარიტება. განსხვავება იმაშია, რომ პირველი დასრულებულია წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ, მეორე (საღვთო გადმოცემა) ეკლესიის მამებისა და მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ.

მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების უმთავრესი დოგმატია წმინდა სამება, რომლის მიხედვითაც ღმერთი ერთია თავისი არსებით, მაგრამ ,,სამგვაროვანია" (სამპიროვანია) – მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა. სამების წევრები თანასწორნი არიან. სამების დოგმატი შემუშავდა ნიკეის (325 წ.) და კონსტანტინეპოლის (381 წ.) პირველ საეკლესიო კრებებზე.

ქრისტიანობა ვითარდებოდა რთულ შინაგან წინააღმდეგობათა პირობებში. მე-5 საუკუნიდან დაიწყო დაპირისპირება რომის პაპსა და კონსტანტინეპოლის პატრიარქს შორის, რამაც 1054 წ. ქრისტიანობის ორ ძირითად მიმართულებად – კათოლიკობად და მართლმადიდებლობად გათიშვა გამოიწვია. განხეთქილების შემდეგ სახელწოდება ,,კათოლიკური" მიითვისა რომის ეკლესიამ. ეს არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს ,,საყოველთაოს", ,,მთელს", ხოლო ბერძნულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ თავისთავს უწოდა ,,მართლმადიდებლური". კათოლიკური ეკლესიის ცენტრად ითვლება ვატიკანი, რომელსაც მართავს პაპი. ასეთი ცენტრი მართლმადიდებლებს არ გააჩნიათ.

საღვთისმეტყველო ტრადიციები სხვადასხვა ეკლესიებში სხვადასხვაა. სხვაობას როგორც თეორიული და დოგმატური, ისე ადგილობრივი წეს-ჩვეულებები განაპირობებს. მართლმადიდებლებს და კათოლიკებს სწამთ, რომ სულის ცხონებისათვის აუცილებელია შვიდი საიდუმლოების ასრულება. ესენია: ნათლისღება, მირონცხება, ზეთისცხება, მღვდელობა, სინანული (აღსარება), უსისხლო მსხვერპლი ე.ი. წირვა, ზიარება და ქორწინება.

<u>მართლმადიდებლებისათვის</u> სარწმუნოების სიმბოლოა ,,სამება", მორწმუნეთათვის სავალდებულოა ეკლესიაში სიარული და შვიდი მთავარი საიდუმლოს შესრულება. ნათლობას მართლმადიდებლები წყალში განბანვით ასრულებენ, მირონს ჩვილ ბავშვებს სცხებენ. მართლმადიდებლური ეკლესიის მიხედვით ეკლესიის მეთაურია ქრისტე.

<u>კათოლიკები</u> ნათლავენ 7 - 8წლის ბავშვებს, წყლის შესხურებით. კათოლიკური მოძღვრებით სულიწმინდის მოფენა ხდება არა მარტო მამა ღმერთისაგან, არამედ იესოსაგანაც, რომლის მეშვეობითაც იესო მამა ღმერთს უტოლდება. კათოლიკური ეკლესიის მიხედვითარსებობს ხილული მეთაური პაპის სახით.

ქრისტიანობის მესამე სახესხვაობაა <u>პროტესტანტური</u> მიმდინარეობა, რომელიც თავის შიგნით მოიცავს რამდენიმე რელიგიურ მიმდინარეობას. ამ მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი დოგმა იმაში მდგომარეობს, რომ მან ,,ბიბლია" სცნო ღმერთის გამოცხადების ერთ-ერთ წყაროდ და უარყო სამღვდელოების, კათოლიკური ეკლესიის, რომის პაპის შუამავლობა ღმერთსა და ადამიანებს შორის. პროტესტანტული ეკლესია შვიდი მთავარი საიდუმლოებიდან მხოლოდ ორს აღიარებს – ნათლისღებას და ზიარებას.

<u>საქართველოში ქრისტიანობის</u> გავრცელების რამოდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი გადმოცემით ცნობილია, რომ სულიწმინდის მოფენის შემდგომ ქართველთა მოქცევა წილად ხვდა ღვთისმშობელს, მაგრამ იესოს სურვილით ეს მისია დაეკისრა ქრისტეს მოწაფეს ანდრია პირველწოდებულს. ანდრია საქართველოში აჭარის მხრიდან შემოვიდა. მან სიმონ კანანელთან ერთად (I საუკ.) შესძლო ხალხის გაქრისტიანება. მონათლა ისინი, აუგო ეკლესიები, დაადგინა მღვდლები და ღვთისმსახურება. ასე მოიარა მან მთელი საქართველო. ასწავლიდა ხალხს რწმენას და ქრისტიანობის შესახებ ესაუბრებოდა.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, რომელიც ეკუთვნის XI საუკ. ისტორიკოსს ლეონტი მროველს, ქრისტიანობა საქართველოში გაავრცელა კაპადოკიელმა ქალმა ნინომ. ვაზის ლერწმით ხელში წმინდა ნინო მტკვრის ხეობის გავლით ქ.ურბნისში შემოსულა, მცხეთაში დამკვიდრებულა და ქრისტიანობის ქადაგება დაუწყია. პირველად ქრისტიანობა დედოფალ ნანას და მეფე მირიანს მიუღიათ. დაახლოებით 326 წ. ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

მე-4 საუკუნიდან ქართლის ეკლესია ანტიოქიის სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. მე-5 საუკუნის 60-70 წლებში მეფე ვახტანგ გორგასლის დიდი ღვაწლითა და თხოვნით ანტიოქიის საპატრიარქომ ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია (თვითმმართველობა) მიანიჭა, ხოლო მცხეთის ეპისკოპოსს ეწოდა ,,კათალიკოსი", რამაც კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს ეკლესია.

საბუთი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო, დაკარგულია. ამიტომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სადაო გახდა. 1917 წელს, საეკლესიო კრებაზე, მცხეთის საკათედრო ტაძარში, აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს ეპისკოპოსი კირიონი (სამაგლიშვილი), მაგრამ კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ არ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. დავა ამ საკითხზე წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. 1987 წელს საქართველოს ესტუმრა კონსტანტინეპოლის პატრიარქი დიმიტრიოს I და მიღწეული იქნა იმ საბუთის მიღება, რომლის თანახმადაც მე-5 საუკუნეში მიღებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დასტურდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ღვაწლით 1990 წელს მსოფლიო საპატრიარქომ ოფიციალურად ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. 1990 წლის 4 მარტს მსოფლიო პატრიარქმა, ყოვლადუწმინდესმა დიმიტრიოსმა,ილია II –ს საზეიმოდ გადასცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის სიგელი. ავტოკეფალიის აღდგენას საქართველოს სამოციქულო ეკლესია 12(25) მარტს აღნიშნავს. 2000 წელს აღინიშნა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავი.

ი ს ლ ა მ ი

ისლამი ანუ მუსულმანობა სიდიდით მეორეა მსოფლიო რელიგიებს შორის. ,,ისლამი"არაბულად ნიშნავს - ,,მორჩილებას". ისლამი ჩაისახა ახ.წ. VII საუკ. არაბეთის ნახევარკუნძულზე. ტრადიციის მიხედვით ისლამის ფუძემდებელი იყო ღვთის მოციქული **მუჰამედი**, წარმოშობით არაბი, რომელიც ქ.მექაში ცხოვრობდა. მას რამდენჯერმე გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი, რომლისგანაც მიიღო წმინდა წიგნის – **ყურანის** სურები. ყურანი ითვლება მუსულმანთათვის წმინდა წიგნად. ის მუჰამედის ქადაგებით მისმა მოწაფეებმა ჩაიწერეს.

მუსულმანთა რელიგიურ წიგნად ითვლება აგრეთვე **სუნა,** რომელშიც მოთხრობილია მუჰამედის ცხოვრება და მოღვაწეობა და **ხადისების კრებული,** რომელიც IX საუკუნეში, მუსულმან უმაღლეს სასულიერო პირთა მიერ არის შედგენილი. მუსულმანთა უმეტესობა სუნებს აღიარებს და იწოდებიან სუნიტებად.

მუჰამედი რეალური პიროვნება ყოფილა. ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 570-632 წლებში. პირველად მან თავისი მოღვაწეობის ქადაგება ქ.მექაში დაიწყო. აქ მისი ქადაგების მიმართ მტრულად განეწყვნენ. ამიტომ, დაახლოებით 622 წელს, მუჰამედი ქ.მედინაში გაიქცა. ამ ლტოლვას **ჰიჯრა** ეწოდება. ამ თარიღიდან იწყება მუსულმანთა წელთაღრიცხვა. ქ.მედინაში მუჰამედის ქადაგებამ დიდი მხარდაჭერა გამოიწვია. 630 წლისათვის ქ.მედინა მთელი არაბული ტომების გაერთიანების ცენტრად იქცა. მუჰამედი გარდაიცვალა 630 წელს .

ისლამის თანახმად ერთადერთი ღმერთი ალაჰია, რომელიც მართავს ბუნებას და ადამიანებს. მუსულმანებისათვის სავალდებულოა 5 ძირითადი რელიგიური ვალდებულების შესრულება:

1. ისლამის რწმენის ფორმულის წარმოთქმა ,,არ არის ღმერთი ალაჰის გარდადა მუჰამედი ღმერთის წარმოგზავნილია";
2. დღეში 5-ჯერ ლოცვის წარმოთქმა, რომლის დროსაც პირისახე მიმართული უნდა იყოს წმინდა ქ. მექისაკენ (საუდის არაბეთი);
3. ,,რამაზანის" დაცვა – ეს არის ერთთვიანი მარხვა, რომლის დროსაც აკრძალულია საჭმლის მიღება და წყლის დალევა გათენებიდან დაღამებამდე.

4.აუცილებელი მოწყალების გაღება;

5. ყოველი მუსულმანი ვალდებულია სიცოცხლეში ერთხელ მაინც სალოცავად ქ. მექას ეწვიოს.

მაჰმადიანობა აღიარებს ბოროტი ძალების არსებობას, რომელიც ალაჰს ემორჩილება. ალაჰი განსაზღვრავს ადამიანის ბედს. ყურანის მიხედვით ღმერთი ადამიანს მიემსგავსება. მას აქვს განუსაზღვრელი უფლება, არის მიმტევებელი, მაგრამ ზოგჯერ სასტიკი. ისლამი უარყოფს ასკეტიზმს, იწონებს სიცოცხლით ტკბობას. ოფიციალურად იძლევა ოთხი ცოლის ყოლის უფლებას.

მუსულმანური რელიგიის ერთ-ერთი უმთავრესი მცნება არის ე.წ. საღვთო ომი, **ჯიხადი,** რომელიც უნდა წარმოებდეს უღმერთოთა და მრავალღმერთიანთა წინააღმდეგ. მუსულმანური საზოგადოების ცხოვრებას ძირითად მიმართულებას აძლევს რელიგიური წესი ანუ **შარიათი.** მუსულმანური სასულიერო პირი საერო მოღვაწეც არის: მოლა, რომელიც სასულიერო პირია, ამავე დროს მასწავლებელია სასულიერო სკოლაში, ყადი- მოსამართლეა და საუკეთესოდ იცის შარიათის კანონები. მუსულმანურ ქვეყნებში სწავლება ძირითადად რელიგიური მიმართულებით მიმდინარეობდა. მეჩეთებთან არსებობდა სკოლები, სადაც ყურანს და სხვა რელიგიურ ლიტერატურას არაბულ ენაზე ასწავლიდნენ.

ისლამი დამოუკიდებელი რელიგიაა, მაგრამ თავისი მითოლოგიით, დოგმატიკით, ეთიკით, წეს-ჩვეულებებით ახლოსაა ქრისტიანობასა და იუდაიზმთან. ისლამის ძირითადი პრინციპები თავმოყრილია ,,ყურანში". მუსულმანები, ,,ყურანის" თანახმად, ლოცულობენ დღეში ხუთჯერ (ნამაზი): დილით (მზის ამოსვლამდე), შუადღისას, მზის ჩასვლისა და შუადღეს შორის, მზის ჩასვლისთანავე და ღამით, დაწოლის წინ. ლოცვა შეიძლება ყველგან: მეჩეთში, სახლში, გარეთ.მუსულმანთა ძირითადი საკულტო ნაგებობებია: მეჩეთი (ღმერთის თაყვანისცემის ადგილი), მინარეთი, მედრესე (სკოლა) და მაზარი (მავზოლეუმი). მაჰმადიანთა წესის მიხედვით ქალები არ ესწრებიან დასაფლავებას, ნათლობას და არ დადიან მეჩეთში. ისლამის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულებია: გახსნილების დღესასწაული მარხვის შემდეგ – ურაზა-ბაირამი (იგივე რამაზანი), როდესაც აკეთებენ ფლავს, ღებავენ კვერცხებს და 3 დღე ქეიფობენ; მსხვერპლშეწირვის დღესასწაული (ყურბან-ბაირამი); მირაჯი (მაჰმადის ზეცად ამაღლება); მავლიდი (მაჰმადის დაბადების დღე) და სხვ.

დღეისათვის ისლამი მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული რელიგიაა. მუსულმანების რიცხვი მთელ მსოფლიოში 600 მილიონია. მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს ჩრდილო და აღმოსავლეთ აფრიკაში, ახლო და შუა აღმოსავლეთში და პაკისტანში.

ინდუიზმი(ჰინდუიზმი)

ინდუიზმი (ჰინდუიზმი) მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი რელიგიური მიმართულებაა. იგი წარმოიშვა ინდოეთში დაახლოებით 6000 წლის წინ. ინდუისტების უმრავლესობა სულების გარდასახვის დოგმას იზიარებს. მათ სწამთ, რომ ყოველი ცოცხალი არსება მონაწილეობს დაბადების, სიკვდილის, ხელმეორედ დაბადების ციკლების უსასრულოდ განმეორებაში. ინდუიზმის მეორე განმასხვავებელი ნიშანია კასტური სისტემა, რომელიც ემყარება რწმენას, რომ ადამიანის მდგომარეობა სოციალურ და რიტუალურ იერარქიაში განისაზღვრება თვით დაბადების ფაქტორით და დამოკიდებულია მის ქცევებზე წინა გარდასახვაში.

ყოველი კასტისათვის საქმიანობისა და რიტუალების განსაკუთრებული სახე არსებობს. ადამიანის ბედი ძირითადად განისაზღვრება იმით, თუ როგორ შეასრულა მან წინა ცხოვრებაში თავისი კასტური ვალდებულებანი.

ინდოეთის კლასობრივი სახელმწიფოს შექმნის პროცესი გამოიხატებოდა ინდურ ,,ვედებში". ,,ვედები" რელიგიური ჰიმნების კრებულებია. იგი ინდუსების წმინდა წიგნებად ითვლება. ამ დროის რელიგიურ შეხედულებებს კი ,,ვედურ რელიგიას" უწოდებენ. ინდოეთის საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ ეტაპზე რელიგიამ სხვა ფორმები მიიღო. საზოგადოება დაიყო წოდებრივ-კლასობრივი ნიშნის მიხედვით ოთხ ჯგუფად. მათ შორის ბრაჰმანებმა (პროფესიულმა ქურუმებმა) ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონიეს. ამ ეპოქის რელიგიას ბრაჰმანიზმი ეწოდა.

ინდუიზმი, როგორც რელიგიური სისტემა ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში ჩამოყალიბდა. მაშინვე იქნა შემუშავებული ინდუისტური დოგმატიკის ძირითადი დებულებანი (კარმა), ღვთისმსახურებისა და მსხვერპლშეწირვის ურთულესი რიტუალი.ყველა ინდუსისათვის წმინდა ლიტერატურად ,,ვედა" (ჰიმნები, ბრაჰმანები, არანიაკები, უპანიშადები) ეპოსი ,,მაჰაბჰარატა", მისი ნაწილები ,,ბჰაგავადგიტა" და ,,რამაიანაითვლება.

ბუდიზმი, კონფუციელობა და დაოსიზმი

აღმოსავლეთის ეთნიკურ რელიგიებს ეკუთვნის ბუდიზმი, კონფუციელობა და დაოსიზმი. ამ რელიგიებში ღმერთი არ არის. პირიქით, ისინი ძირითად მნიშვნელობას ეთიკურ იდეალებს ანიჭებენ, რომლებიც მორწმუნეებს საშუალებას აძლევენ ბუნებრივ მოვლენებსა და სამყაროს ერთიანობას შორის კავშირი იგრძნონ.

ბუდიზმი ერთ-ერთი უძველესი მსოფლიო რელიგიაა. ბუდისტური კანონიკური ლიტერატურის ძეგლს წარმოადგენს ,,ტიპიტაკა", რაც სანსკრიტის ენაზე ნიშნავს ,,სამ კალათს". ,,ტიპიტაკა" დაწერილია პალის ენაზე და შედგება სამი ნაწილისაგან: ბუდისტური თემის კანონიკური წესები, ბუდას საუბრები და გამონათქვამები და მეტაფიზიკური განსჯანი რელიგიისა და სამყაროს შესახებ.

ბუდისტური რელიგიის დამფუძნებელი იყო ჩრდილოინდური სახელმწიფოს მეფის შვილი <u>სიდჰარტჰა</u>, რომელიც შემდგომში ცნობილი იყო <u>გაუტამასა</u> და <u>შაკიამუნის</u> სახელით. სიდჰარტჰას, ბუდას ანუ განმანათლებლის შესახებ ბევრი ლეგენდაა შექმნილი. გადმოცემით იგი რეალური პიროვნება იქნებოდა, რომელიც ცხოვრობდა ძვ.წ. VI საუკუნეში. სხვა ცნობებით კი ძვ.წ. XXV საუკუნეს აკუთვნებენ. ფუფუნებაში გაზრდილმა მეფის შვილმა, თავისი სურვილით, 7 წელი მარტოობაში გაატარა ტყეში და იქ მას სულიერი სინათლე ,,ბოდჰი" გამოეცხადა, რომელმაც მას ნამდვილი ჭეშმარიტება განუცხადა. მან ამის შემდეგ, მთელს ჩრდილო-აღმოსავლეთ

ინდოეთში, წინასწარმეტყველური მოღვაწეობა დაიწყო. გაუტამა-ბუდამ თითქმის ორმოცი წელი იქადაგა თავისი მოძღვრება. მისი მოძღვრება ოთხ ჭეშმარიტებას ეყრდნობა. ესენია: მოძღვრება ტანჯვის, მისი მიზეზების, მისი შეწყვეტისა და დაძლევის შესახებ. ბუდას მოძღვრების მიხედვით მთელი ცხოვრება ტანჯვაა. ტანჯვის მიზეზი ცხოვრების სურვილში დევს. ეს არის მატერიალურ გრძნობათა სამყარო ანუ **სანსარა**, რომელსაც ადამიანი უნდა გაექცეს, რათა ეს ტანჯვა აიცილოს. ამიტომ ის მორწმუნეს მოუწოდებს ხსნის გზას, ამქვეყნიური სიამეთაგან სრულ განდგომას ანუ **ნირვანას** დაადგეს.

ბუდისტური რელიგია ძვ.წ. III საუკუნეში ინდოეთის დიდი ნაწილის გაბატონებულ რელიგიად იქცა. ახ.წ. I საუკუნეში ბუდიზმი ორ მიმდინარეობად გაიყო: ჰინაიანად და მაჰანიანად. ამჟამად ბუდისტური რელიგია გავრცელებულია ინდოჩინეთის ქვეყნებში. ბირმაში, კამბოჯასა და ლაოსში ბუდიზმი აღიარებულია სახელმწიფო რელიგიად, ტაილანდში კი მეფე ბუდისტური ეკლესიის მეთაურად ითვლება.

<u>**კონფუციელობა**</u> ანუ კუნ-ძის (კონფუძი) რელიგიური მიმართულება ჩაისახა ჩინეთში ძვ. წ. ა. VI საუკუნეში. **კონფუძი** ისტორიული პიროვნება ყოფილა. მისმა იდეებმა დიდი როლი შეასრულა მრავალ ფილოსოფიურ მიმდინარეობაზე. კლასიკური კონფუციანური რელიგიის ძირითად კანონიკურ წიგნად მიჩნეულია ხუთწიგნეული (უ-ძინი), რომელშიც ჩამოყალიბებულია მაგიური ფორმულები, შელოცვები, საწესჩვეულებო დღეობათა აღწერილობები და სხვ. კონფუციანელობა ძირითადად ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის წესების მართებულობას ქადაგებს. მასში ადამიანთა შორის სიყვარული წინა პლანზეა წამოწეული. კონფუცი თვლიდა, რომ ადამიანში მთავარია სამართლიანობა და სიწმინდე.

კონფუციელობის პარალელურად ჩინეთში არსებობდა მოძღვრება, რომელიც <u>**დაოსიზმის**</u> სახელითაა ცნობილი. <u>**დაოს**</u> რელიგიური მოძღვრების მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს ორი სული, ერთი მას სიცოცხლეში აქვს მინიჭებული, მეორე კი სულს არის დაცილებული. დაოსიზმის მიმდევრებს აქვთ ტაძრები, წმინდა წიგნები, აღმსარებლობის სათავეში დგანან მღვდელმთავრები. უზენაესს მათ შორის ეწოდება <u>**ტიან-ში**</u>. მისი რეზიდენცია მდებარეობს ძიანისის პროვინციის მთებში და დაოისტების წმინდა ადგილად ითვლება.

ბიბლიოთეკა და რელიგიური განათლება

ბიბლიოთეკები რელიგიური განათლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

საქართველოს მთავრობამ ბიბლიოთეკების შესახებ ორი კანონი მიიღო: 1996 წელს ,,საქართველოს საბიბლიოთეკო კანონი" და 1997 წელს ,,საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ". ორივე კანონი ითვალისწინებს, რომ ,,ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია: 1. პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი;2. მკითხველთა თანასწორუფლებიანობა; 3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდველობა."

საბჭოთა პერიოდში, კერძოდ 1921 წლიდან, საბჭოთა მთავრობის მიერ საღმრთო სჯულის სწავლება და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება აიკრძალა. კომკავშირელს და კომუნისტური პარტიის წევრს უფლება არ ჰქონდა ეკლესიაში შესულიყო ან რაიმე რელიგიური რიტუალი შეესრულებინა. უკანასკნელ ათწლეულში ათეისტური პროპაგანდა მინელდა. მეტი ყურადღება ექცევა

საზოგადოებაში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლების გავრცელებას. ყველა აკრძალვა გაუქმდა. ბიბლიოთეკებში დახურული ფონდები გაიხსნა,ყველა მსურველს ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობა მიეცა.

რამდენიმე ათეული წლის წინ ადამიანების უმრავლესობა რელიგიით ცხოვრობდა. დღეს საჭირო გახდა საზოგადოებისათვის სარწმუნოების სიკეთის აუცილებლობის ახლიდან განმარტება, რომლის მნიშვნელობაც ჩვენს წინაპრებს კარგად ესმოდათ.

თანამედროვე ბიბლიოთეკები სამოქალაქოსაზოგადოების აუცილებელ, ორგანულ ნაწილად არიან მიჩნეულნი. მათი უპირველესი მიზანი უნდა იყოს მკითხველებს სხვადასხვა რელიგიების შესახებ ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს და ამით ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას შეუწყოს ხელი. ბიბლიოთეკარი ვალდებულია გააცნოს მკითხველებს საზოგადოებაში, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ეს ამოცანარომ შეასრულოს, საჭიროა, თვითონ იყოს ყოველმხრივ განათლებული ადამიანი. მას უნდა გააჩნდეს მაღალი კულტურა, გამოირჩეოდეს თავისი საქმის ღრმა ცოდნით, იყოს ყურადღებიანი და კეთილი. ბიბლიოთეკარი უნდა ერკვეოდეს ადამიანის რწმენის, სინდისისა და რელიგიის სფეროში არსებულ კანონებში. მან ყველა მკითხველს, მორწმუნესა და არამორწმუნეს, საშუალება უნდა მისცეს, ყველა რელიგიურ მიმდინარეობაზე საჭირო ინფორმაცია მიიღოს.

ბიბლიოთეკაში შესულ ყოველ მორწმუნეს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ თავისი რელიგიის ლიტერატურის, არამედ სხვა რელიგიების შესახებ არსებული ლიტერატურის ნახვაც. ამგვარად, ადამიანი უფრო იგრძნობს, რომ არსებობს მრავალი სხვადასხვა რელიგია და მათი ამსახველი მასალები: წიგნები, ჟურნალები, გაზეთები აქ ერთმანეთის გვერდით, თანასწორი უფლებებით არის განლაგებული, და რომლებიც ყველა მკითხველისათვის თანაბრად, შეუზღუდავად ხელმისაწვდომია. განსხვავებული რელიგიების გაცნობა სხვა კულტურების, უმცირესობების მიმართ პატივისცემისა და რელიგიური ტოლერანტობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ბიბლიოთეკამ რელიგიური განათლების სფეროში თავისი ფუნქცია რომ შეასრულოს ფონდი დაკომპლექტებული უნდა ჰქონდეს სათანადო რელიგიური ლიტერატურით, როგორც ქრისტიანული ასევე სხვა რელიგიების, ქართულ და უცხო ენებზე. სასურველია ბიბლიოთეკაში იყოს წმინდა წიგნები: ბიბლია, ყურანი, თორა; ამ წმინდა წიგნების გაცნობა შეეძლებათ არა მხოლოდ ამ რელიგიების მიმდევართ, არამედ სხვებსაც. მაგ.: ქრისტიანს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი გაიგოს რა წერია ,,ყურანში" ან ,,თორაში".

იმ ბიბლიოთეკებში, სადაც არის კომპიუტერები, ბიბლიოთეკარებს და სხვა დაინტერესებულ პირებს,ინტერნეტის საშუალებით შეუძლიათ მოიპოვონ ინფორმაცია მართლმადიდებლური ქრისტიანობის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს საიტზე:www.patriarchate.ge დაhttp://orthodoxy.wanet.net.ისლამის ძირითად საფუძვლებსა და ბავშვებისათვის გამოცემულ სხვადასხვა რელიგიურ ლიტერატურას, ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე გაეცნობით მისამართზე: www.muslimgeorgia.org

იუდაიზმით დაინტერესებული პირები ინფორმაციას მიიღებენ საქართველოდანწასული ებრაელების მიერ შექმნილ საიტზე, ინტერნეტში:http://planet.nana.co.il/georgianjews საიტი შექმნილია ქართულენოვანი მკითხველებისათვის. აქ გაეცნობით ებრაელი ხალხის ცხოვრებას, წარსულს და რელიგიურ დღესასწაულებს, აგრეთვე ყოველკვირეულ რელიგიურ გაზეთს

,,სიცოცხლის წყაროს", თორას – მოშეს ხუთწიგნეულს და სხვა რელიგიურ ლიტერატურას.

ბიბლიოთეკაში უნდა იყოს აგრეთვე პერიოდული გამოცემები მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის, რომლებიც ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს ხელშეწყობით მრავლად გამოიცემა. მათ შორის ყველაზე საყურადღებო და ხელმისაწვდომია მკითხველთათვის გაზეთი ,,მადლი", საპატრიარქოს პრესცენტრის ყოველკვირეული გაზეთი ,,საპატრიარქოს უწყებანი", საისტორიო ჟურნალი ,,არტანუჯი", ჟურნალები: ,,რელიგია", ,,ჯვარი ვაზისა", ,,უდაბნო", ,,სამრეკლო", ,,დედაეკლესია", ,,კარიბჭე"; საბავშვო მართლმადიდებლური გაზეთი ,,ალილუია" და ჟურნალი ,,ცისარტყელა"; მოზრდილთათვის გაზეთები: ,,მრევლი", ,,ივერიის გამობრწყინება", ,,მწყემსი"; ბიულეტენი ,,მართლმადიდებელი" და სხვ.

ბიბლიოთეკარებს ხშირად უჩნდებათ რთული კითხვა: ფონდში უნდა იყოს თუ არა ანტიქრისტიანული, ანტიისლამური ან სხვა რელიგიის საწინააღმდეგო ლიტერატურა. ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების კონცეფციიის თანახმად, ბიბლიოთეკაში ყველა სახის ლიტერატურა უნდა იყოს. თუ ასეთი ლიტერატურა არსებობს, არ შეიძლება მისი არსებობა არ ვაღიაროთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკის ფონდი ასეთი სახის ლიტერატურითაც უნდა დაკომპლექტდეს.

საქართველოში ძირითადი რელიგია ქრისტიანობაა. ბიბლიოთეკარები უმთავრესად ამ რელიგიის მიმდევრები არიან, მაგრამ ისინი ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ ნეიტრალიტეტი, პატივი სცენ ყველა რელიგიის მიმდევარს, ლიტერატურის შერჩევისას ობიექტურნი იყვნენ, არც ერთ რელიგიას არ უნდა მიანიჭონ უპირატესობა,რადგან პირადი რწმენა ერთია, საბიბლიოთეკო მუშაობაში კორექტურობა კი სხვაა.

ბიბლიოთეკარი უნდა იცნობდეს ყველა რელიგიისა და მიმდინარეობის ფუძემდებლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ძირითად მოძღვრებებს და წერილობით ძეგლებს, მთავარ დოგმატურ სისტემებს, წეს-ჩვეულებებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ბიბლიოთეკარი თავისი მუშაობა ისე წარმართოს, რომ ღონისძიებები არ იყოს მქადაგებლურ-კატეხიზატორული. არაქრისტიანული რელიგიის მორწმუნემ არ უნდა იგრძნოს ზეწოლა საკუთარ რელიგიასა და სინდისზე. მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება ზნეობრივ პრინციპებს. ამიტომ ბიბლიოთეკარმა მომთმენი, ტაქტიანი, თავაზიანი მოპყრობით, ოპერატიულად და სწრაფად, მკითხველებთან მოკლე საუბრისას სწორად უნდა განსაზღვროს თუ რა აინტერესებს მას და ისე მოემსახუროს, შეურჩიოს ან შესთავაზოს მისთვის საინტერესო ლიტერატურა. მან უნდა გამოიყენოს მომსახურების ახალი, ეფექტური ფორმები და საშუალებები.

სასურველია, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, ბიბლიოთეკაში შეიქმნას <u>,,რელიგიური შემწყნარებლობის ცენტრი"</u> (ასეთი ცენტრები უკვე არსებობს რუსეთის ზოგიერთ ბიბლიოთეკაში) ან რელიგიების შემსწავლელი კლუბი, რომელიც საგანმანათლებლო ფუნქციას შეასრულებდა, ყველა რელიგიის წარმომადგენელს, მორწმუნეს და არამორწმუნეს მსოფლიო რელიგიებზე და სხვადასხვა მიმდინარეობებზე, მისთვის საინტერესო ინფორმაციას მიაწოდებდა. ამისათვის, ცენტრის ან კლუბის ფონდი შესაბამისი ლიტერატურით უნდა იყოს დაკომპლექტებული. ასეთი ბიბლიოთეკა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შეხვედრის ადგილიც იქნება, სადაც შესაძლებელია არსებული ცხოველმყოფელი პრობლემების განხილვა და მისი გადაწყვეტის გზების ძებნა.

სხვადასხვა ერისა და რელიგიური მიმდინარეობის კულტურის გასაცნობად ბიბლიოთეკაში შესაბამისი ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს. რელიგიური განათლების უკეთ დასაუფლებლად კიაუცილებელია აქტიურად ითანამშრომლონ ეკლესიის მსახურებთან. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მასობრივი მუშაობის გავრცელებული ფორმები: ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები რელიგიურ თემებზე; დისკუსიები, ინტერაქტიური დიალოგები, შეხვედრები ეკლესიის მსახურებთან, რომელთაც აგრეთვე შეუძლიათ შეფობა გაუწიონ ბიბლიოთეკას; კვირაში ერთხელ, თუნდაც შაბათობით შეხვდნენ მკითხველებს და ესაუბრონ რელიგიის საკითხებზე.

ადამიანს, რომელიც ეხლა იჩენს რელიგიისადმი ინტერესს, შეიძლება მრავალი კითხვა გაუჩნდეს, მაგრამ უჭირს ეკლესიაში მისვლა და მოძღვართან დალაპარაკება. მისთვის ფსიქოლოგიურად უფრო ადვილი იქნება ბიბლიოთეკაში მისვლა და სხვადასხვა რელიგიურ თემებზე მასალების გაცნობა. ამისათვის ბიბლიოთეკას ფონდში უნდა ჰქონდეს ისეთი რელიგიური ლიტერატურა, რომელიც გვასწავლის როგორ ვილოცოთ და ვიმარხულოთ, როგორ მოვიქცეთ ეკლესიაში, როგორ მოვაწყოთ სახლში სამლოცველო კუთხე, რა უნდა გავაკეთოთ მიცვალებულთა მოსახსენებლად და სხვ. ასეთი ლიტერატურის შემენა დღეს უკვე პრობლემა არ არის.გახსნილია მრავალი მაღაზია, სადაც იყიდება მართლმადიდებლური ლიტერატურა (თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე: ,,ალილო", ,,მადლი", ,,იადგარი").

ბიბლიოთეკაში ლექციები, საუბრები და დისკუსიები მრავალ საინტერესო საკითხებზე და თემებზე შეიძლება მოეწყოს. მაგალითად, ბევრს აინტერესებს რატომ ვატარებთ ჯვარს? რისთვის ვინათლებით? რისთვის დავდივართ ეკლესიაში? რა არის ჯვარცმა? რა საჭიროა აღსარება? როგორ უყურებენ ეკლესიის მსახურნი აბორტს? და სხვ.. ყველა ამ საინტერესო კითხვებზე სწორ პასუხს მხოლოდ ეკლესიის მსახურნი გაგვცემენ. ბიბლიოთეკაში ლექციის დროს შეიძლება მოწვეული იქნენ ექიმები და პედაგოგები.მკითხველებისათვის აბონემენტზე უნდა დაიდგას სპეციალური ყუთი, სადაც მკითხველებს შეეძლებათ ჩააგდონ ის შეკითხვები, რაზეც მათ აინტერესებთ საუბარი.

ბიბლიოთეკაში შეიძლება მოწვეული იქნენ რელიგიათმცოდნეები, მუზეუმის თანამშრომლები, მეცნიერ მუშაკები, ხელოვნებათმცოდნეები, რომელნიც წაიკითხავენ ლექციას რომელიმე ისტორიული ხატის, ისტორიული ძეგლის ან მოვლენის შესახებ.აგრეთვე მოეწყოს ქართული და სხვა ერებისკულტურული მემკვიდრეობის, რელიგიური ხელოვნებისა და წიგნების შედევრებისადმი მიძღვნილი გამოფენები, როგორც ცნობილი, ასევე თვითნასწავლი მხატვრებისა, რელიგიურ თემაზე: ნაქარგები, ნაქსოვები და სხვადასხვა საგნებით შესრულებული მხატვრული ნაწარმოებები. ასეთი სახის გამოფენა ადამიანებს სხვადასხვა რელიგიის კულტურის უკეთ გაცნობაში დაეხმარება. ამას გარდა, ისინი დარწმუნდებიან იმაში, რომ ყველა რელიგია თანასწორუფლებიანია და თავისებურად საინტერესოა.

ბიბლიოთეკაში სხვადასხვა რელიგიური სიმბოლოების: ხატების, წმინდანთა გამოსახულებების, ექვსქიმიანი ვარსკვლავების და სხვა საეკლესიო საგნების გამოფენა დაშვებულია მხოლოდ დროებითი გამოფენის მოწყობისას (რაიმე რელიგიური თარიღის ან დღესასწაულის აღნიშვნის დროს). გამოფენის აღების შემდეგ, ასეთი სიმბოლოებიც აღებული უნდა იქნეს, რათა ბიბლიოთეკა ეკლესიას ან რომელიმე რელიგიური წესის შესრულების ადგილს არ დაემსგავსოს. ყველაფერს აქვს თავისი ადგილი და მნიშვნელობა. ბიბლიოთეკამ მხოლოდ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

მკითხველთა დაინტერესებას გამოიწვევს მასობრივი მუშაობის ისეთი ფორმებიც, როგორიცაა დისკუსიები ან დისპუტები, რომლის დროსაც შეიძლება რომელიმე მხატვრული ნაწარმოების განხილვა, სადაც ხაზგასმულია რელიგიური თემა, ან რომელშიც მოთხრობილია ადამიანის ტკივილებზე, ტანჯვაზე და ნამდვილ სიყვარულზე, რწმენაზე ან ურწმუნობაზე.

ღონისძიებები, სადაც განიხილება არა წიგნები, არამედ აქტუალური მორალურ-ეთიკური საკითხები, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრის დაპირისპირება, გარკვეულ როლს შეასრულებენ მკითხველთა მორალური მხარის გაჯანსაღებაში. ასეთი საკითხებია მაგ.: შეთავსებადია თუ არა სიკეთე და ბოროტება, ზნეობრივია თუ არა თავისუფალი სიყვარული და სხვ.

ღონისძიებებს შორის შედარებით ახალი ფორმებია: ახალი წიგნების პრეზენტაციები ან შეხვედრები ავტორებთან. ამ დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ილუსტრაციები, ფოტოები და ვიდეო მასალა, რაც რა თქმა უნდა დამოკიდებულია ბიბლიოთეკარის ალღოსა და უნარზე, მის ცოდნასა და გამოცდილებაზე და აგრეთვე ბიბლიოთეკის პირობებსა და საშუალებებზე.

2005 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოეწყო საქართველოს საპატრიარქოს და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი გამოფენა ,,საქართველოს წმინდანთა დასი". გამოფენის გახსნას დაესწრო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილიაII. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართველი წმინდანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი რელიგიური ლიტერატურა, ხატები, ფრესკები, საქართველოს ეკლესიებისა და მონასტრების ფოტო-სურათები.

ბიბლიოთეკები, რომლებიც ემსახურებიან ბავშვებსა და მოზარდებს, უნდა მიაჩვიონ ისინი წიგნის სიყვარულს, მათ მაღალ ზნეობრივ აღზრდას ხელი უნდა შეუწყონ. ამისათვის გამოიყენება მომსახურების ისეთი ფორმები, როგორიცაა რელიგიური ლიტერატურის გამოფენები, სტენდები, ფოტოვიტრინები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები სახელწოდებით ,,სინათლესა და სიბნელეს შორის". კარგი იქნება ბიბლიოთეკაში გამოიკრას მხატვრულად გაფორმებული ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები: ათი მცნება და ცხრა ნეტარება.

ბიბლიოთეკას აუცილებლად უნდა გააჩნდეს ახალი საეკლესიო კალენდარი, რათა რელიგიურ დღესასწაულებზე და წმინდათა მოსახსენიებელ დღეებში ბიბლიოთეკაში მოეწყოს შესაბამისი ღონისძიებები: გამოფენები, შეხვედრები ეკლესიის მსახურებთან და ექსკურსიები რელიგიური ადგილების მოსანახულებლად (სვეტიცხოველში, ჯვარზე, გელათში, ალავერდში, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში და სხვ.).

2005 წლის საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულით გათვალისწინებულ პროგრამაში, მრავალ საინტერესო ღონისძიებებს შორის, შეტანილი იყო რელიგიური თემისადმი მიძღვნილი ღონისძიებებიც. ქ.ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა დისპუტი თემაზე: ,,ღრმად გწამდეს შენი, პატივს სცემდე სხვის რწმენას".გურჯაანის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ღონისძიებამ ,,გიხაროდენ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი" დიდი მოწონება დაიმსახურა. სტუდენტებმა რელიგიურ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებიდან წაიკითხეს ნაწყვეტები, ხოლო სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს საგალობლები.

ქარელის რაიონის ბიბლიოთეკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრების 900 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებში.

2005 წლის საბიბლიოთეკო კვირეულის დროს საინტერესო ერთობლივი ღონისძიება ჩაატარეს ქ.თბილისის მე-9 და 31-ე ბიბლიოთეკებმა, თემაზე: ,,ქართული სახელმწიფო და მსოფლიო გლობალიზაციის საკითხები", სადაც თსუ პროფესორმა გ. ღაღანიძემ წაიკითხა ლექცია: ,,გლობალიზაცია და ბიბლიის თეოლოგიურ-სიონისტური ინტერპრეტაცია", რომელმაც დამსწრეთა შორის უამრავი საინტერესო კითხვა წარმოშვა.

ქ.ქუთაისის ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებებიდან უნდა აღინიშნოს: 25-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება ,,უფალო შეგვიწყალენ, შეგვეწიე ჩვენ", რომელსაც ესწრებოდნენ საშუალო სკოლის მოსწავლეები დათამარ მეფის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი - მღვდელი ნიკოლოზი; მე-19 საქალაქო ბიბლიოთეკის ინიციატივით მოეწყო ექსკურსია თბილისში, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის დასათვალიერებლად; მე-14 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება ,,რას გვეტყვი, მამაო", სადაც მოწვეული იყო წმინდა გიორგის სამლოცველოს მოძღვარი მამა გიორგი. საუბარი შეეხო ბიბლიოთეკის ადგილს რელიგიური განათლების სფეროში. მამა გიორგიმ მკითხველთა შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა, აგრეთვე ისაუბრა ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ.

ხაშურის მე-2 ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა საღამო რელიგიურ თემაზე, სადაც ისტორიის მასწავლებელმა ზოია ნოზაძემ წაიკითხა ლექცია: ,,ფუსტები – საეკლესიო სიწმინდეთა დაცვის რაინდები". ინფორმაცია ,,ფუსტების" შესახებ ნაკლებად მოიპოვება, ამიტომ, ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამავე ბიბლიოთეკამ მოაწყო მკითხველთა და ბიბლიოთეკართა ექსკურსია ბოდბის დედათა მონასტერში და თბილისში, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში.

საქართველოს მთავრობას გათვალისწინებული აქვს კომპლექსური ღონისძიებების გატარება რელიგიური ექსტრემიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც მოწმობს 2003 წლის 4 მარტის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება ,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განმტკიცების შესახებ 2003-2005 წლებისათვის მოქმედების გეგმის" დამტკიცება. ასეთი ღონისძიებები მოიცავს რელიგიური ექსტრემიზმის აღმოფხვრასა და შემწყნარებლობის კულტურის ხელშეწყობას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდას და რელიგიური დისკრიმინაციის რაიმე გამოვლინების დაგმობას.

ბიბლიოთეკებმა ამ წმინდა საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ. ისინი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრებას სხვადასხვა რწმენის პირთა და რელიგიურ გაერთიანებათა შორის. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მივაღწიოთ ერთა და რელიგიათა შორის მშვიდობიან თანაცხოვრებას.

რელიგიის საკითხებზე მუშაობა უფრო საინტერესოა და სიფრთხილეს მოითხოვს იმ ბიბლიოთეკებში, რომლებიც მუშაობენ მრავალეროვან რეგიონებში. აქ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ქრისტიანები, კათოლიკები, მუსულმანები და სხვ. რელიგიის მიმდევრები. საჯარო ბიბლიოთეკამ შეძლებისდაგვარად უნდა შეიძინოს ყველა ამ რელიგიურ მიმდინარეობათა ამსახველი ლიტერატურა, მოაწყოს გამოფენები, ჩაატაროს ღონისძიებები, ინდივიდუალურად იმუშაოს მკითხველებთან და ა. შ.

რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა ბიბლიოთეკაში, როგორც კულტურისა და აღზრდის დაწესებულებაში, ნიშნავს სხვადასხვა რწმენისა და შეხედულებების

მკითხველთა თანაბარ პირობებში მომსახურებას. ამ პროცესში ბიბლიოთეკარმა მარჯვედ უნდა გამოიყენოს რელიგიურ თემებზე არსებული ცნობარები, ენციკლოპედიები, გზამკვლევები.

ბიბლიოთეკა მუშაობს პირველადი წყაროებით. ამ მასალებზე მუშაობას თავისი სპეციფიკა გააჩნია და გამოცდილი ბიბლიოთეკარი მარჯვედ იყენებს ლიტერატურის პოპულარიზაციის ტრადიციულ და თანამედროვე ფორმებს. რელიგიურ თემებზე საუბარი მეტად სათუთი საკითხია. ბიბლიოთეკარი ტაქტიანი ქცევით უნდა მოერიდოს გაუთვითცნობიერებელი და დაუსაბუთებელი პასუხების გაცემას. ყველა საეჭვო საკითხზე კონსულტაციისათვის მან უნდა მიმართოს საეკლესიო და სხვადასხვა რელიგიის მსახურებს, წერილობით წყაროებს, მასალებს, რათა მისი პასუხი უფრო დამაჯერებელი იყოს.

რელიგიური ლიტერატურა

1. ნადირაძე, ელ. მსოფლიოს რელიგიები / რედ. ვ.შამილაძე; თბ. სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1996.–247 გვ.
2. პაპუაშვილი, ნ.რელიგიის კარიბჭე: რელიგიის ისტორიის შესავალი: სახელმძღვანელო უფროსკლასელთათვის /ლიტ. რესპ. ცენტრი.– თბ.: რუბიკონი, 1996.– 361გვ.
3. თაქთაქიშვილი, თ.ღმერთი და სატანა ანუ თავისუფლება და მონობა /რედ. გ.კობახიძე.– თბ.: პერგამენტი, 1994.– 23 გვ.
4. ხორავა, პ.ვიდრე ჰხუალ ... მორწმუნენო? თბ., 1999.– 111 გვ.
5. ჯიბუტი, გ.დექით მტკიცედ და შეურყევლად: საძიებელი სექტანტურ სწავლებათა წინააღმდეგ /შემდგ. მღვდელი გიორგი ჯიბუტი.– თბ.: საპატრიარქოს გამ-ბა, შ.ს.კომბინატი, 1995.– 104 გვ.
6. ქრისტეს უღელი და სულის სიმშვიდე / რედ. გვანცა კოპლატაძე; თბ., 1998.– 16 გვ.
7. კოდუა, ლ. ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია.– თბ.: აღმაშენებელი, 1995.– 188 გვ.
8. რაფაელი (არქიმანდრიტი) საუბრები მართლმადიდებლობაზე /თარგმ. რ.ბუაჩიძემ.– თბ.: მთარგმნელი, 1997.– 124გვ.
9. უდიდესი საეკლესიო დღესასწაულები /შემდგ. ვახტანგ ღლონტი.– თბ., კიდევაც დაიზრდებიან, 1990.– 32 გვ.
10. ვინ არიან იეღოვას მოწმეები ? / დაიბეჭდა … ილია II ლოცვა-კურთხევით .– თბ., საბჭ. საქ., 1994.
11. ნიკოლოზი (ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი) წესი ქრისტიანის ცხოვრებისა / მხატვ. დავით მორგოში .– თბ.: კანდელი, 1997.– 72 გვ.
12. თბილელი, ნ. საქრისტიანო მოძღვრება (კატეხიზმო).– თბ.: ნობათი, 1992.– 48 გვ.
13. საღმრთო სჯული: საკითხავი წიგნი / გამოსაც. მოამზადეს ზ.კალანდაძემ, ე.გიუნაშვილმა.– თბ.: ნობათი, 1993.– 432 გვ.
14. სხირტლაძე, გიორგი (დეკანოზი) მღვდლის დარიგებანი.– თბ., 2000.– 209 გვ.
15. წმიდა ახალმოწამეთა და აღმსარებელთა სწავლება ეკლესიის შესახებ.– თბ., 2000.– 76 გვ.

16. ქართული გალობა: მწუხრი / საქ. საპატრიარქოს საეკლ. გალობის ცენტრი.- თბ., რაეო, 1999.– 256 გვ.
17. სექტანტობის საფრთხე / საქ. საპატრიარქო, ბათუმისა და სხალთის ეპარქია.– ბათუმი, 1999.– 48 გვ.
18. ოსიპოვი, ა. ვის სჭირდება მაცხოვარი ?.– თბ.: ნეკრესის ეპარქია, 2000.– 33 გვ.
19. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი / საქ.მეცნ. აკადემია, აღმოს.მცოდნ. ინ-ტი;შემდგ. კუცია, მეტრეველი და სხვ. – თბ.: ნეკერი, 1999.– 256 გვ.
20. რას გვეტყვი, მამაო ? : პასუხი 100 კითხვაზე / რედ. დ. შერვაშიძე.– თბ., 2000.– 24 გვ.
21. გუდინგიდ. ბიბლია და ეთიკური განათლება / მთარგმ.: ნ.ნაკუდაშვილი და ლ.გვარამაძე.– თბ., 2000.– 195 გვ.
22.როგორ უნდა ვილოცოთ და მოვიქცეთ ტაძარში / გამოსაც. მოამზ. მღვდელმალავრენტი ბეთლემიშვილმა, რედ. პროფ. ედ. ჭელიძე.- თბ., 2005.- 82 გვ.
23.როგორ მოვაწყოთ სამლოცველო კუთხე / მთარგმ. მელანია შანავა-ვეფხვაძე .- თბ., 2003.- 20 გვ.

სასულიერო სემინარები და საღვთისმეტყველო სკოლები საქართველოში

1. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია;
2. გელათის სასულიერო აკადემია;
3. ბათუმის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია;
4. ქუთაისის წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სემინარია;
5. ახალციხის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია;
6. ქუთაისის წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სასწავლებელი;
7. სამრევლო სკოლების ცენტრი;
8. ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია;
9. ხულოს სასულიერო სასწავლებელი და გიმნაზია;
10. ზუგდიდის წმ. გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზია;
11. ლანჩხუთის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია;
12. ოზურგეთის წმ. ნინოს სახელობის სასულიერო გიმნაზია;
13. ფოთის წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის გიმნაზია;
14. სენაკის სასულიერო სასწავლებელი;
15. ხობის სასულიერო სასწავლებელი;
16. ხობის ქრისტიანული ხელოვნებისა და კულტურის სასწავლებელი.

რელიგიური დაწესებულებები ქ.თბილისში

1. ბიბლიური საზოგადოება – კ.გამსახურდიას გამზ. 35ტელ.: 94-19-79
2. საქართველოს საპატრიარქო – ერეკლეს მოედანი 1.ტელ.: 99-03-78; 98-27-09.
3. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია – სიონის ქ. 13/40.ტელ.: 98-91-15 98-91-16
4. სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი – სიონის ქ. 4.ტელ.: 98-89-53
5. წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია – ცოტნე დადიანის ქუჩა

6. წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია – ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
7. ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსული ეკლესია – ჯავახიშვილის ქ. 69. ტელ.: 95-63-14
8. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (ქაშვეთის) – არჩილ ჯორჯაძის ქ. 2 ტელ.: 99-01-12
9. წმ. იოანე ღვთისმეტყველის რუსული ტაძარი – ლეო ქიაჩელის ქ. 21, ტელ.: 99-87-95
10. წმ. ნიკოლოზის სახელობის რუსული ეკლესია – კოსტა ხეთაგუროვის ქ. 1 ტელ.: 95-95-00
11. წმ. სამების სახელობის ეკლესია – ეროსი მანჯგალაძის ქ. 6 ,ტელ.: 99-00-32
12. ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი (დიდუბის) – აკაკი წერეთლის გამზ. 44 ტელ.: 35-11-08
13. პეტრე პავლეს კათოლიკური ეკლესია – ივ. ჯავახიშვილის ქ. 55, ტელ.: 95-92-07
14. მარიამის ამაღლების კათოლიკური ეკლესია – გია აბესაძის ქ. 4/2, ტელ.: 92-28-61
15. სინაგოგა – კონსტანტინე ლესელიძის ქ. 45/47, ტელ.: 98-89-34
16. ავლაბრის ეჩმიაძინის ეკლესია – არმაზის ჩიხი 3
17. მეჩეთი – ბოტანიკური ქ. 32, ტელ.: 72-17-86
18. წმინდა სამების საკათედრო ტაძარი – ავლაბარი, ელიას მთა

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

1. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, ნაწ.1.-თბ., 2001.
2. საქართველოს კონსტიტუცია: მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.- თბ.: ნორმა, 1995.-72 გვ.
3. საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ: მიღებულია 1997 წლის 28 ოქტომბერს // საქართველოს ბიბლიოთეკა.- 2001.-№ 2.- გვ.6
4. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ: მიღებულია 1996 წლის 11 ივნისს // საქართველოს ბიბლიოთეკა.-2000.- № 1 .- გვ.8
5. ნადირაძე ელ. მსოფლიო რელიგიები / რედ. ვ.შამილაძე; თსუ, თბ. სახ. უნივერსიტეტის გამ-მა, 1996.-247 გვ.
6. კორკელია, კ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან / ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2005.-559 გვ.
7. პაპუაშვილი, ნ. საქართველო და მსოფლიო რელიგიები: მიმოხილვა და ლექსიკონი / რედ.: სოზარ სუბარი; თბ.; 2004.- 220 გვ.
8. პაპუაშვილი, ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში / რედ.: სოზარ სუბარი; თბ.: თავისუფლების ინსტიტუტი, 2002.- 232 გვ.

9.ГидденсЭ.Социология

მასალა <u>რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ</u> შეგიძლიათ იხ. ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე:

1. http://lib.1september.ru/2004/20/9.htm

2. http://www.upelsinka.com/Russian/tezis11ru.htm

რელიგიური ინტერნეტ -საიტების მისამართები:

1. http://www.patriarchate.ge - საქართველოს საპატრიარქო
2. http://www.osgf.ge/tta/- თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
3. http://www.nplg.gov.ge/ic/durnovo/index.php - ,,ქართული ეკლესიის ბედი"
4. http://www.orthodox.ge - მართლმადიდებელი
5. http://www.children.iatp.ge - მართლმადიდებელი ბავშვებისათვის
6. www.muslimgeorgia.org - მუსულმანური რელიგია
7. http://planet.nana.co.il/georgianjews - საქართველოს ებრაელთა საიტი
8. www.mospat.ru -რუსული მართლმადიდებლური ეკლესია
9. http://katolichestvo.by.ru -კათოლიკური ეკლესია
10. http://orthodoxy.wanex.net/tsnobarebi/leksikoni_ganmart.php - საეკლესიო ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი

Роль библиотек в религиозном просвещении:
Инструктивно-методическое письмо в помощь библиотекам.
Сост.: Н. Кавтарадзе
Ред.:Г. Такниашвили